განმარტება

მოგახსენებთ, რომ აღნიშნული ობიექტი სრულად არის მიღებული ექსპლუატაციაში, გაზგასამართ სადგურთან ერთად, აღნიშნული ღია ფარდული ემსახურებოდა სადგურს, სადაც დაყანებული იყო გაზის კომპრესორები – ხოლო საკადასტრო გეგმაზე იმიტომ არ არის კონტური რეგისტრირებული, რომ რადგან აღნიშნული ფარდული არის ღია და არ აქვს გარშემო კედლები არ საჭიროებს საკადასტროზე კონტურების რეგისტრაციას – გიგზავნით ექსპლუატაციაში მიღების ოქმს, სადაც აღნიშნული ობიექტი (გაზგასამართი სადგური) თავის საკომპრესოროთი არის ექსპლუატაციაში მიღებული, აღნიშნულ ოქმში საკომპრესოროს ფართი შეყვანილია დამხმარე ფართში.

არქიტექტორი თამაზ მურვანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 378501, 378396

№ 1-19/011716013698-17 16 06 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, დ. გურამიშვილის გამზირი №84 / დ. გურამიშვილის გამზირი №41–ს მოპირდაპირე მხარეს, ელმავალმშენებელი ქარხნის ღობესთან (საკ. კოდი: №01.12.01.003.107) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (გაზგასამართი სადგური) ექსპლუატაციაში მიღების შესახებ.

დამკვეთი – შ.პ.ს. "ალთენი"
პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №674559 05.07.2013წ.
განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დასკვნა: №3281229 24.05.2017წ. (AR1501684)

- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 5945.0
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 432.2
- საერთო ფართობი (კვ.მ).: 1309.4
- საოფისე ფართობი (კვ.მ).: 26.7
- კომერციული ფართობი (კვ.მ).: 34.1
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 48.7
- სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 626.2
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 38.4
- დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 535.3
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 4474.5
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1476.9
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2997.6

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, საქ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 20.06.06წ. №115 დადგენილების მე-2 მუხლის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, დ. გურამიშვილის გამზირი №84/დ. გურამიშვილის გამზირი №41–ს მოპირდაპირე მხარეს, ელმავალმშენებელი ქარხნის ღობესთან (საკ. კოდი: №01.12.01.003.107) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (გაზგასამართი სადგური).

2) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/011716013698-17 09.06.2017წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი მეჯაძე